

თავი 27

ცოდვებისთვის მიზღვა

ჯონათანმა დატოვა გახალისებული დარბაზი და გრძელ დერეფანს გაუყვა. დერეფნის ბოლოში სკამზე ადამიანები ისხდნენ, რომელთა ფეხებიც რკინის ბორკილებითა და ჯაჭვით იყო გადაბმული. ალბათ დამნაშავეები იყვნენ, რომლებიც სასამართლოს ელოდებოდნენ.

იქნებ აქაური ჩინოვნიკები შეძლებენ ჩემთვის მოპარული ფულის დაბრუნებას – ფიქრობდა ჯონათანი.

სკამიდან ხელმარცხნივ კარი იყო შემდეგი წარწერით: „კატორღული შრომის ბიურო“. სკამის ბოლოში უნიფორმაში ჩაცმული მცველები იდგნენ და ჩუმად საუბრობდნენ. ისინი პატიმრებს ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ. პატიმართა ბორკილები იმდენად მძიმე იყო, რომ გაქცევის შანსსაც არ უტოვებდა მათ.

ჯონათანი მიუახლოვდა ერთ-ერთ პატიმარს, ათი წლის ბიჭუნას, რომელიც სრულიად არ ჰგავდა დამნაშავეს და გულუბრყვილოდ ჰკითხა:

– აქ რატომ ხარ?

ბიჭმა შეხედა ჯონათანს და ვიდრე პასუხს გასცემდა, მცველებისკენ გააპარა თვალი:

– მუშაობის დროს წამასწრეს.

ჯონათანს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა:

– კი, მაგრამ, ამისთანა რა სამუშაო იყო, ასეთ ხიფათში რომ ჩაგაგდო?

– თაროებზე საქონელს ვაწყობდი ჯეკის სავაჭრო ცენტრში, – უპასუხა ბიჭმა. მას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ შეყოყმანდა და გვერდით მჯდომ ჭაღარა კაცს შეხედა.

– მე ის დავიჭირავე, – დაბალი ხმით წარმოთქვა შუახნის მამაკაცმა. მოვაჭრეს ჯერ კიდევ ეკეთა დასვრილი წინსაფარი. მისი ფეხი კი რკინის ჯაჭვით ბიჭის ფეხზე იყო გადაბმული.

– ბიჭუნამ მითხრა, როცა გაიზრდებოდა მამამისივით ქარხნის საწყობის გამგედ იმუშავებდა. ბუნებრივია, არა? ქარხნის დახურვის შემდეგ კი მამამისი უმუშევარი დარჩა. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ბიჭის დასაქმებით ოჯახს დავეხმარებოდი. უნდა ვაღიარო, რომ მეც ვსარგებლობდი ამით. დიდი მაღაზიები საკმაო კონკურენციას მიწევდა და მეც იაფი მუშახელი მჭირდებოდა. ახლა კი ყველაფერი დამთავრდა, – მას სახეზე თითქოს ბედთან შეგუების სხივი გაუკრთა. უცრად ბიჭუნამ წამოიყვირა:

– სკოლაში კითხვასა და ანგარიშში არავინ მიხდიდა, ჯეკი კი მიხდის. მე შემქმლო საქონლის აღწერა და ვაწარმოებდი ჟურნალს. კარგად თუ ვიმუშავებდი, ჯეკი შეკვეთების გაფორმებასაც მომანდობდა. სკოლისგან განსხვავებით, იქ დიდ ხალხთან მქონდა ურთიერთობა. შემდეგ ჯეკმა დამაწინაურა და მამას იჯარის გადახდაშიც დავეხმარე. იმდენის გამომუშავება შეეძელი, რომ ველოსიპედიც კი ვიყიდე. ახლა კი გამაგდეს და მხოლოდ ოცნებების ამარა დავრჩი, – მან დაბლა დაიხედა და გაჩუმდა.

– შვილო, ეს არცთუ ისე ცუდია, თუ დაფიქრდები, რომ ყველაფერი სხვაგვარად შეიძლება მომხდარიყო, – მიმართა ზორბა მამაკაცმა, რომელსაც ხელში თეთრი ყვავილებით სავსე კალათი ეჭირა. მისი ფეხიც ბიჭის ფეხზე ჯაჭვით იყო გადაბმული, – ჩვენ დროს თავის რჩენა მეტისმეტად რთულია. სიმართლე გითხრა, დაქირავებით მუშაობა არასოდეს მიყვარდა. ყოველთვის მინდოდა, ჩემი საქმე მქონოდა. ბოლოს გადავწყვიტე, ჩემი ყვავილების კალათით მერჩინა თავი. საქმე კარგად მიდიოდა. ყვავილებს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებზე ვყიდდი. ყვავილები ხალხს მოსწონდა – ჩემი კლიენტები მყავდა. მაგრამ კონკურენციით უკმაყოფილო მაღაზიის მეპატრონეებმა აიძულეს ლორდთა საბჭო, ქუჩის მოვაჭრეები კანონდამრღვევებად ეცნოთ. „დამტარებელი“ – სწორედ ასე მიწოდებდნენ იმიტომ, რომ მაღაზიის გახსნა ვერ შეეძელი. სხვა შემთხვევაში „მაღაზიის მეპატრონე“ ან „ვაჭარი“ ვიქნებოდი. არავის მინდა ვაწყენინო, ჯეკ,

მაგრამ ვაჭრობის ის სახე, რომლითაც მე ვიყავი დაკავებული, შენს მაღაზიაზე უფრო ადრე გაჩნდა. ადრე ხან აბეზარას მეძახდნენ, ხან კი უქნარას, ახლა კი კანონდამრღვევადაც შემრაცხეს! აბა, ვგავართ მე და ჩემი ყვავილები ყველაფერ ამას? ყოველ შემთხვევაში მოწყალებით მაინც არ ვირჩენდი თავს.

– მაგრამ შენ ტროტუარზე ვაჭრობდი, – უპასუხა ჯექმა, – ტროტუარი კი თავისუფალი უნდა იყოს ჩემი მომხმარებლებისთვის.

– შენი მომხმარებლები? როგორ ფიქრობ, მომხმარებლები შენ გეკუთვნის? რა თქმა უნდა, მე ხომ საბჭოს ტერიტორიაზე ვვაჭრობდი. როგორც ვიცი, ის ადგილი ყველას უნდა ეკუთვნოდეს. ასე არ არის, ჯექ? სინამდვილეში კი, ის ლორდთა საბჭოს მფარველობის ქვეშ მყოფთა საკუთრებაა.

ჯექს ირონიულად გაეცინა: – მაგრამ თქვენ კერძო საკუთრებისთვის არსებულ გადასახადებს არ იხდით, ჩვენ კი, მაღაზიის მფლობელებს, გვიწევს მისი გადახდა.

– ვინ არის მერე ამაში დამნაშავე. ყოველ შემთხვევაში მე არ ვარ, – შეედავა გაღიზიანებული მეყვავილე.

ცხარე კამათის განმუხტვის მიზნით ჯონათანმა იკითხა:

– და ასე უბრალოდ მოვიდნენ და დაგაკავეს?

– რამდენჯერმე მივიღე გაფრთხილება, მაგრამ სულაც არ ვაპირებდი მათ დაკრულზე ცეკვას. მაგათ რა, თავი ჩემი ბატონები ხომ არ ჰგონიათ? მე მხოლოდ ჩემთვის ვმუშაობ და არა ვილაც აბეზარა ბოსისთვის. კარგი, ციხესაც არაუშავს. მაღაზიის მეპატრონის ხარჯზე ვიცხოვრებ. უცნაურია, ციხის უფროსს ჰგონია რომ ამით დიდ სამსახურს მიწევს. ის ჩემს რეაბილიტირებას აპირებს, რათა ჩემი წვლილი შევიტანო საზოგადოებისთვის. ცხადია, ის „წვლილში“ გადასახადებს გულისხმობს და არა ყვავილებს.

– როგორ ფიქრობთ, მეც ციხეში ჩამსვამენ? – ამოისლუკუნა ბიჭუნამ.

– ნუ ღელავ, – დაამშვიდა მეყვავილემ, – დარწმუნებული იყავი, თუ ასე მოხდა, ხელობის დაუფლების შესაძლებლობა გექნება.

ჯონათანი სამუშაო კომბინიზონებში ჩაცმული ქალების ჯგუფს მიუბრუნდა, რომლებიც მომდევნო რიგში იხდნენ და ჰკითხა:

– თქვენ რატომღა ხართ აქ?

– ჩვენ პატარა სათევზაო ნავი გვაქვს. ერთმა ჩინოვნიკმა გამაჩერა როდესაც მძიმე კალათები გადამქონდა პორტში და მითხრა, რომ მე უსაფრთხოების წესებს ვარღვევდი, – თქვა უცნაური აღნაგობის ლურჯთვალება ქალმა. მან თავის მეგობრებს გახედა და დასძინა:

– კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ სავარაუდოდ გვიცავს ჩვენ ცუდი სამუშაო პირობებისგან. ხელმძღვანელობამ ორჯერ დაგვხურა, მაგრამ ჩვენ მაინც ვაღწევდით პორტში, რათა მომავალი სეზონისთვის მოემზადებულიყავით. მაგრამ მათ კვლავ დაგვიჭირეს და გვითხრეს, რომ ამჯერად გისოსებს მიღმა უკეთ „დაგვიცავდნენ“.

ქალმა ხმამაღლა დაიწყო ფიქრი: – ნეტავ ჩემს ბიჭს რას უზამენ? ის მხოლოდ 3 წლისაა და გაცილებით მძიმეა ვიდრე კალათები, რომლებსაც დაგატარებდი. როცა ბავშვს ხელით ვატარებდი, ამის წინააღმდეგი არავინ ყოფილა, – ქალმა ცრემლები მოიწმინდა და დასძინა, – სხვა უნდა მოძებნონ, ვინც შეძლებს მის ტარებას.

– ვინმეს პოვნა არც ისე იოლი საქმეა, – თქვა კაცმა, რომელსაც ლამაზად შეკრეჭილი ჭაღარა წვერი ახალგაზრდა სახეს უფარავდა. მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდას იდაყვი გაჰკრა და თქვა:

– ჯორჯი ორი ზამთრის განმავლობაში მუშაობდა ჩემთან შეგირდად. ის ჩემს საპარიკმახეროში სისუფთავეზე ზრუნავდა და კლიენტების მისაღებად ამზადებდა მას. მინდოდა დალაქის ხელობა მესწავლებინა მისთვის. ორივე კინაღამ დიდ შარში გავხვიეთ, ვინაიდან ჯორჯი დალაქთა გილდიის წევრი ჯერ არ გამხდარა და ლიცენზიაც არ გააჩნდა, – კაცმა სასოწარკვეთისგან ხელი ჩაიქნია.

– ასეთი გადასახადები... ახლა კიდევ ეს სასამართლო... ვერასოდეს მივიღებ ლიცენზიას, – დარდიანად ამოიოხრა ჯორჯმა.